# საქართველო

## ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 51 43
22/01/2021

43-51-4-202101221335

**ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილზე №6-ში შპს "მღვიმევისა" და შპს "ჯორჯიან მანგანეზის" საკუთრებაში**

**არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამ სართულიანი საცხოვრებელი შენობის დემონტაჟის ნებართვის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 93-ე -99-ე მუხლების, 100-102-ე მუხლების, 108-116-ე მუხლების, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“ - ს 4-5-ე მუხლების, 10-21-ე მუხლების, 23-26-ე მუხლებისა და დანართი #1-ის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის IVდა VI თავის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიეცეს ნებართვა შპს "მღვიმევსა" და შპს "ჯორჯიან მანგანეზს" მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 38.10.31. 376) მდებარე სამ სართულიანი საცხოვრებელი შენობის დემონტაჟისათვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესამამისად.

2. დემონტაჟის ნებართვის მოქმედება განისაზღვროს ერთი წლის ვადით.

3. დემონტაჟის დაწყების ვადა აითვალოს ბრძანების ჩაბარების დღიდან.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჭიათურის მერის 2021 წლის 21 იანვრის №51 33 ბრძანება

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე

მერი